წერილის ნომერი: **18-01191333928**
თარიღი: **13/05/2019**
პინი: **4799**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 10 მაისის #60-01191304056 წერილი და AR1674072 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ზურაბ წიკლაურის მომართვის საფუძველზე, ქ. თბილისში, დიუმას ქუჩა #30-ში და პუშკინის ქუჩა #17-ში (ს.კ. #01.18.03.018.019; #01.18.03.018.024) (სსზ-2) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ტოპო. გეგმა, ფოტომასალა, გამწვანების პროექტი) და ინტერაქტიული რუკით (tas.ge) დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მწვანე ნარგავები არ არის, **შესაბამისად სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.**

რაც შეეხება წარმოდგენილ გამწვანების პროექტს, სამსახური იმსჯელებს და პოზიციას დააფიქსირებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

აქვე ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ ვინაიდან ტერიტორიაზე იგეგმება IV კლასის ობიექტის მშენებლობა, პროექტის შეთანხმების ეტაპზე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს გამწვანების პროექტი, სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები: მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით, მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

გასამწვანებელი მცენარეების სახეობები (ვერხვის/ალვის ხის, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვის გარდა) უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს გამწვანების პროექტში მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა.

ვერხვის/ალვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად,

ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა, ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 9 19 01126644

03/05/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახური-ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)
ბატონ **გიორგი მასხულიას**

ბატონო გიორგი,

თქვენი 2019 წლის 1 მაისის N 60-01191212915 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა განხილვას ქალაქ თბილისში, დიუმას ქუჩა N30-ში და პუშკინის ქუჩა N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.03.018.024; 01.18.03.018.019) ორი ან მეტი ფუნქციის მქონე შენობისთვის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაცია, სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობა.

მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისათვის განხილვას დაექვემდებარა ორი ან მეტი ფუნქციის მქონე შენობანასთან სახანძრო ტექნიკისათვის განკუთვნილი მისასვლელების და გასასვლელების მოწყობის, შენობა-ნაგებობებს შორის არსებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების, ასევე გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

1. შენობების გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს გარე ხანძარსაწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობის არანაკლებ 100 მმ ქსელის მოწყობა, სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე სახანძრო ჰიდრანტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახანძრო ჰიდრანტები ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

ნებისმიერ სათავსში. იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.
საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 5.2 ცხრილი 2, პუნქტი 8.6; 8.10

2. SP 8.13130.2009 4.1 პუნქტის „შენიშვნის“ პირველი პუნქტის შესაბამისად განაშენიანების ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის არარსებობის შემთხვევაში, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს სახანძრო რეზერვუარის მოწყობის გზით და დადგენილი წესით განისაზღვროს მისი მოცულობა.

3. სახანძრო ჰიდრანტის (წყლის რეზერვუარის), აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით (მოცულობითი შუქსიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქამრეკლი საფარების გამოყენებით).
საფუძველი: „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის N370 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

4. ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) ორი ან მეტი ფუნქციის მქონე შენობის მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებამდე დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცხლმდეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, ხოლო წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მიმდებარე შენობა-ნაგებობები და არც მათი ხანძარსაშიში და ცეცხლმდეგობის ხარისხი, შესაბამისად არც მათ შორის არსებული კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, აუცილებელია ამ ინფორმაციის მოპოვება, რის შემდეგ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის განისაზღვროს SP 4.13130.2013-ის და სხვა სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს.

5. გათვალისწინდეს შენობასთან, მისასვლელი გზის მოწყობა სახანძრო ავტომობილებისათვის, სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. სახანძრო ავტომობილების გასასვლელი გზების სიგანე და მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე მიღებული უნდა იქნას სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად, ხოლო გზის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნას სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე. ამ ზონაში დაუშვებელია შემოღობვის მოწყობა, ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების გაყვანა და მწვანე ნარგავების რიგში დარგვა.
საფუძველი: SP 4.13130.2013 პ.პ 8.1; 8.6; 8.8 8.9.

6. გათვალისწინდეს, რომ თუ სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების შესაბამისად ორი ან მეტი ფუნქციის მქონე შენობის სათავსები დაცული უნდა იქნას ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემით, შესაბამისად საჭირო გახდება შენობაში ან შენობის გარეთ ადგილის გამოყოფა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის სახანძრო რეზერვუარისათვის და სატუმბო სადგურისათვის.

ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ვინაიდან მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიის პროცესში, როგორც წესი შენობების, ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე, ხოლო

ტექნოლოგიური სქემები არ შეიცავს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს (როგორც ტექსტურს ისე გრაფიკულს) შენობაში მოსაწყობ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შესახებ (სათანადო ინფორმაციასა და მონაცემების განზოგადოება კი წარმოებს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შემუშავების გზით) და რადგანაც შეუძლებელია ამ სისტემების ტექნოლოგიური სქემებით მოხდეს შენობაში მოსაწყობი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია, შემუშავებული იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დაცვით. კერძოდ:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;
ზ) ხანძარსაწინააღმდეგო დანაყოფების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ლიფტის პროექტს (მისი საჭიროების შემთხვევაში) ;
თ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;
ი) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის მოწყობის პროექტს.

ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნების განხილვის შედეგად წერილში აღნიშნული შენიშვნა-წინადადებების თანახმად, დაპროექტების დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, როგორც წესი შეფერხდება სანებართვო პროცესის მეორე სტადიისათვის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის განხილვის პროცედურა და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში დასკვნის მომზადება.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი იქნეს მშენებლობის სანებართვო პროცესის მეორე სტადიაზე.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

დენდროლოგიური პროექტი

საპორექტრო მიწის ნაკვეთზე არ ვრცელდება ხე ნარგავები

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა

New Point

ქალაქი თბილისი, ქუჩა პუშკინი №17 (ს/კ01.18.03.018.019),
ქალაქი თბილისი, ქუჩა დიუმა, №30 (ს/კ01.18.03.018.024),
დაინტერესებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მიწის ნაკვეთების და მათი მომდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა


ჩ
4615950
4615900
483550
483600
483650
ხაზი
ბოძი
ელ. ბოძი
ელ. გადამცემი ხაზი
სერვიტუტი
ბოდე
ქვაფენილი
ბეტონის ქუჩა
ასფალტის ქუჩა
ბეტონის ბორდიური
ბეტონის ბორდიური
ბეტონის ბორდიური


2-2
1-1
Senoba
Senoba
7.6 m
16.7 m
5.8 m
22.6
328.0 m²
95.9 m²
15.3 m²
36.5
8.8
1.0 m²
2.48
R 9.000
-0.46 =409.16 (41 ნაბიჯი)
-0.00 =408.70
409.19
408.60
408.90
408.86
409.10
408.95
408.42
408.38
409.58
409.23
408.99
409.10
411.72
411.72
1 543
862
17.33
520
520
690
690
190
730
455
85
225
550
325
105
410
700
310
410
165
535
760
597
230
45
60
410
700
310
410
165
535
597
230
A
B
C
D
E
F
G
H
I
J
K
L
M
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
12
13
N1
N2
N3
2
3
4
2
2
3
4
2
2
3
4
2

საპროექტო მცენარეები

იტალიური ფიჭვი



ტუია დასავლეთის ბარბანტი



ჯვიოპაროსი ლაილანდის



ფურცელი	ფაქტობრივი №	პროექტის №	ფაილის სახელი
A-1			

პროექტირების ეტაპი

0.00 ნიშნ. ტროტუარზე

6.00 ნიშნ. ბინის იატაკზე

3010 307.1 გარე ნიშნ.

5 ღერძი

1 ბინის ხაზი

ბეტონის კედელი

ბლოკის კედელი

ხის ტიპის სპეციფიკაციის №

ხის ტიპის აღნიშვნა

ხის ტიპის მასიშტაბი გეგმაზე

ხის ტიპის მასიშტაბი სიმაღლეზე

შენიშვნები

1. ნარგავის ზუსტად ორიენტირება ნარგაობისთვის;
2. ნარგავის ადგილი ცვლილება მისაღებია ადგილობრივ პირობებთან მორგების მიზნით;
3. შესაძლებელი პროექტირების ცვლილებების შემთხვევაში ნარგავი ასორტიმენტის;

ბინის/სახლის №

ფაილები

ამონაწერი ქონების რეგისტრიდან -17

პროექტი

მიწათსარგებლობის პროექტი

მისამართი

ქ.ბათუმი ნასაკირალის ქუჩა ქუჩა №17

ორგანიზაცია	გვარი	ხელმოწერა
მთ.არქიტექტორი	მიხარაძე	
პროექტი	მიხარაძე	
შაბლონები	მზაკარიანი	
შესრულება	მიხარაძე	

საპროექტო ორგანიზაცია

STUDIO9 Architectural Design

შპს. სტუდიო 9

ა.ი.მ.ს.ს.ს.ს.ს.ს.ს.ს. - ა.ა.ი.ი.ი.ი

მასშტაბი	1:100	ფაილები

ნახაზი

პროექტირების

№		
1		
2		
3		
4		
5		
6		

სტადია	ნომერი	შენიშვნა
სტადიის პროექტი		

მცენარეთა ექსპლიკაცია

საპროექტო მცენარეთა ექსპლიკაცია						
№	მცენარეთა დასახელება	სიმაღლე	ღეროს გარშემოწ.	სასიცოცხლო ფორმა	შენიშვნა	რაოდენობა
	არსებული ხეები					
1	იტალიური ფიჭვი	3-3.5	0.15	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე	3
3	ტუია დასავლეთის ბრაბანტი	0.50-1.00	0.15	წიწვოვანი ბუჩქი	მარადმწვანე	7
2	ჯვიჰვერროსი ლაიილანდის	3-3.5	0.15	წიწვოვანი ხე	მარადმწვანე	6
5	გაზონი ჩვეულებრივი	- - -	- - -		271.5 მ²	

სამუშაოების მოცულობა

№	სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	არსებული ხეები ფორმირება (გასხვლა)	ცალი		
2	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ნოყიერი მიწის ნაზავის დამატებით ორმოებში (ორმოს ზომა 0.8X0.8X0.8)	ცალი	53	1.0კუბური მეტრი მიწის ნაზავი
3	წიწვიანი ხეების დარგვა	ცალი	16	
4	ადგილების მომზადება ბუჩქების დასარგავად 50% ნოყიერი მიწის ნაზავის დამატებით ორმოებში (ორმოს ზომა 0.6X0.6X0.6)	ცალი	7	0.6 კუბური მეტრი მიწის ნაზავი
5	ბუჩქების დარგვა	ცალი	7	
6	ახლადჩარგული ბუჩქების ფორმირება (გაკრეჭა)	გძივი მეტრა	7	საპორტიუორე გაიკრიჭოს სწორხაზოვანად
7	15 სმ. სისქის ნოყიერი მიწის ნაზავის შეტანა და გაშლა, გაზონის მოსაწყობად.	კუბური მეტრი	150	
8	ჩვეულებირვი გაზონის მოწყობა	კვ.მეტრი	271.5	
9	ჩვეულებრივი გაზონის მოვლა	კვ.მეტრი	271.5	
10	ახლადჩარგული მცენარების და გაზონის მორწყვა	მთელი გამწვანებული ტერიტორია		

ობიექტის გენერალური გეგმა

ობიექტის საკოორდინატო №

ობიექტის დეტალიზაცია

ობიექტის მასშტაბური სქემა

ობიექტის ასაზომი სქემა

0.00 ნიშნ. გეგმაზე

6.00 ნიშნ. ჭრილზე

3010 / 307.1 გარე ნიშნ.

5 ღერძი

1 ჭრილის ხაზი

გეგმარების კედელი

გლუვის კედელი

1. სამუშაოს წარმოებამდე მოწესრიგდეს საკომუნიკაციები.
2. სამუშაოს მიმდინარეობის პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას ტერიტორიის ეფექტიანი დრენირება.
3. შესაფერისი ტრანსპორტირების პირობებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკა უნდა პასუხობდეს

ტექნიკური ნაწილი

საინჟინრო სქემა

დასახელება: ამხანაგობა კვესიონს -17

პროექტის: მიკასარიშვილის ქუჩაზე

მისამართი: ქალაქი თბილისის ავლა კვესიონს N 17

ცნობარი	ხელმოწერა
მთ.არქიტექტორი	
პროექტი	
შესრულება	
შემოწმება	

საორგანო ორგანიზაცია

STUDIO9 Architectural Design

მცხ. სტეფციმინდა 9

არქიტექტურული ნაწილი

მასშტაბი 1:100	ცნობილი
ფასადი	ტიპიური

№		
1		
2		
3		
4		
5		
6		

სტადია	ცნობილი	ფურცელი
ხასიათი პროექტი		

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო ბანერი



დამკვეთი: ამხანაგობა ჯუმჯინის -17

საპროექტო ტერიტორიის მისამართი: ქ. თბილისი,

ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯუმჯინი,**N**17, ქალაქი თბილისი, ქუჩა დიუმა **N** 30

ნებართვის გამცემი ორგანო:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

კ-3-საანგარიშო ფართობი შეადგენს 271.5კ3.მ

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 2023 წელი

დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა:

1.იტალიური ფიჭვი 3 ძირი (სიმაღლე 3.00-3.50) ღეროს გარშემოწერილობა 0.20სმ-დან
2.ტუია დასავლეთის ბარბანტი 7 ძირი (სიმაღლე 0.50-1.00) ღეროს გარშემოწერილობა 0.15სმ
3.ჯვივაროსი ლაილანდიის 6 ძირი (სიმაღლე 3.00-3.50) ღეროს გარშემოწერილობა 0.15სმ



ახლადარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი: ამხანაგობა ჯუმჯინის -17

ახალდარგულ ხე მცენარეების მოვლის ხანგძლივობა: 3წელი